შ.პ.ს. "ემ ოილი"

საქართველო

იურ.მის: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №42.ბ№32

ს/კ 234242940. ტელ: 596 444444; 595 456 778.

ელ. ფოსტა: giorgigabadze86@gmail.com

დირექტორი: მურმან შუბითიძე.

№19/05-24 24 მაისი 2019 წ

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

დამატებითი ინფორმაცია სკრინინგის განცხადებაზე

ქ. ბოლნისში სულხან-საბა ორბელიანის ქ. №171-ში შ.პ.ს. „ემ ოილი"-ს (საიდ/კოდი 234242940) მშენებარე ავტოგასამართი სადგურის შესახებ ჩვენი ა/წ 8 აპრილის №19/04-05 და 19 აპრილის №19/04-11 სკრინინგ განცხადებებზე სამინისტროს 2019 წლის 6 მაისის № 4525/01 წერილით მითითებული საჭირო დაზუსტებების შესახებ გაცნობებთ:

1. ობიექტი აგს-ი უზრუნველყოფილი იქნება პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით, ქალაქის წყალმომარაგების ქსელიდან სპეციალური ონკანებით, მეხამრიდი სისტემით და დაცული იქნება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყველა ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნები;
2. ერთგასამართ სვეტიანი გადახურული საწვავის გასაცემი ბაქნის ფართის ირგვლივ მოწყობილი წყალმიმღები არხი უერთდება ნავთობდამჭერ (სალექარ) ჭას. ჭაში ნავთობით დაბინძურებული წყალი მოხვდება მხოლოდ გასამართ ბაქანზე ავტომანქანის გამართვის ავარიული შემთხვევის დროს. ამ დროს შემკრებ ჭაში მოხვედრილი ამოღებული ნავთობის ნარჩენი ჩაისხმება ამისათვის განკუთვნილ შესანახ ჭურჭელში და უტილიზირებული იქნება დადგენილი ნორმატიული მოთხოვნების შესაბამისად. სხვა შემთხვევაში სალექარგავლილი წყალი შეიძლება მოხვდეს ქალაქის ქუჩის სანიაღვრე არხში;
3. გასაცემი ბაქანის და ტრანსპორტის შესასვლელ-გასასვლელი გზის და სხვადასხვა ინფრასტრუქტურის ფართის გარდა სხვა ტერიტორია ჰუმუსური ფენის შემცველი ნაკლებადაა და ისიც (სარკოფაგისათვის ორმოს ამოღების დროს) გამოყენებული იქნება ადგილზე. აქ საწარმოს დანარჩენი მყარი საფარის გარეთ წარმოქმნილი ნიაღვრული წყლები შთაინთქმება ნიადაგში ან ნაწილი შეიძლება მოხვდეს საქალაქო გზის გასწვრივ არხში;
4. საწარმოს ფართი და მიმდებარე ტერიტორია ათეული წლების განმავლობაში იყო არასასოფლო და სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების არაკუმულაციური ზონა. აქ აგს-ის ფუნქციონირების მცენარეული საფარზე ზემოქმედება არ არსებობს.

პატივისცემით,

დირექტორი მ. შუბითიძე

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 7679
27 05 2019
1 ფ.
02

შ.პ.ს. "ემ ოილი"

საქართველო

იურ.მის: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №42.ბ№32

ს/კ 234242940. ტელ: 596 444444; 595 456 778.

ელ. ფოსტა: giorgigabadze86@gmail.com

დირექტორი: მურმან შუბითიძე.

№19/04-5 5 აპრილი 2019 წ

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება

ქ. ბოლნისში, სულხან-საბა ორბელიანის ქ. №171-ში შ.პ.ს. „ემ ოილი"-ს საკუთრებაში მუნიციპალიტეტის მიერ ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისათვის გადაცემულია 1571.0 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი (კოდი № 80 06 66 089). ფართობი ქ. ბოლნისის ტერიტორიაა, არასასოფლო დანიშნულებისაა (განცხადებას თან ერთვის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან დანართი-1 და საკადასტრო გეგმა-დანართი-2). ტერიტორიის პერიმეტრიდან და ქუჩის მეორე მხარეს 100 მეტრზე არ არის განთავსებული სამკურნალო, სასწავლო. სკოლამდელი დაწესებულებები და და საცხოვრებელი სახლი. ობიექტის მშენებლობა შესრულდება სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით. ტერიტორიაზე არ იქნება გამოყოფილი სამუშაო მოედანი. მიწისქვეშა სარეზერვუარო პარკის (სარკოფაგის) მოსაწყობად ამოღებული მიწა გაიშლება იმავე ტერიტორიაზე. სხვა სამშენებლო ნარჩენები არ წარმოიქმნება. არც ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას მოხდება ნიადაგის და ნიადაგქვეშა წყლების დაბინძურება. ობიეტზე ხმაურის დონის გამაძლიერებელი და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების დანადგარები არ იქნება. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების (ნახშირწყალბადების) რაოდენობა ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების დასაშვები ნორმების ფარგლებში იქნება (მონაცემები მოცემულია ქვემოთ). ობიექტის პერიმეტრიდან 100 მეტრიანი რადიუსის შემდეგაც არ არსებობს დაცული ტერიტორიები ან ტყეპარკები, კულტურის ძეგლები. არ არის ანალოგიური ან სხვა მავნე ან კუმულაციური ეფექტის ნივთიერებების გამომყოფი საწარმოები.

ობიექტი ისარგებლებს ქალაქის წყალმომარაგებით და საკანალიზაციო სისტემით.

ქვემოთ მოცემულია სკრინინგ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაცია აგს-ის ფუნქციონირების სიმძლავრეზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე და ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების მახასიათებლების შესახებ.

ა) ინფორმაცია ავტოგასამართი სადგურის შესახებ:

- ავტოგასამართი სადგური შედგება:

--- სარკოფაგის ხუთი მიწისქვეშა რეზერვუარის, მისი სასუნთქი მილებისა საწვავით შესავსები მილმდენებისაგან;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 5249
08.04 2019
2/5 ფ.
+ 02 +

--- საწვავის გასაცემი ხუთი ტუმბო-მილმდენის სისტემისაგან, რომლებიც გაერთიანებულია საწვავის გასაცემ გადახურულ ბაქანზე მოწყობილ ერთ 8 მილიან (ფისტოლეტიან) გასამართ სვეტში;
---საწვავის მისაღებ ბაქანთან მოწყობილი საწვავის მიმღები საკეტებიდან ხუთი მილმდენი უერთდება ცალცალკე რეზერვუარებს -საწვავის სახეობის მიხედვით;
--- რეზერვუარებიდან სასუნთქი მილები გამოყვანილია და სარკოფაგის პერიმეტრზე მოწყობილია ერთ ხუთმილიან კონად;

- სადგური გათვალისწინებულია საავტომობილო ბენზინის და დიზელის საწვავის_მიღება-შენახვა და საცალო რეალიზაციისათვის;
- მიწისქვეშა სარკოფაგში დიზელის საწვავის ორი- 35.0m^3 მოცულობის და ბენზინის სამი, მ.შ. ორი- 35.0m^3 და ერთი 20.0 m^3 მოცულობის რეზერვუარი საწვავის მისაღები და სასუნთქი მილები საკეტებით და სარქველებით;
- საწვავის წლიური ბრუნვა დაგეგმილია 1.5 მილიონი ლიტრი ბენზინისა და 1.5 მილიონი ლიტრი დიზელის საწვავისათვის;
- გასამართი სადგური უახლოესი მოსახლისაგან დაშორებულია 100.0 მეტრზე მეტი მანძილით. მდებარეობს საგზაო ღერძიდან 12.6 მ-ის დაშორებით.
- ობიექტის ფუნქციონირება სადღეღამისო იქნება მთელი წლის განმავლობაში. გათვალისწინებულია ყველა ინფრასტრუქტურა-ადმინისტრაციული, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების, დასუფთავების და სხვა ყველა მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად.

გ) ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლებისა და გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ:

- ობიექტებზე მავნე ნივთიერებები გამოიყოფა და ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა საწვავის მიღება-გაცემის დროს. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სიმძლარე ზდკ-ს ფარგლებშია და ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე მავნე ზემოქმედება გამოირიცხება.
- საწარმოს საქმიანობისას ბენზინ-დიზელის საწვავის ორთქლის ჯამური გაფრქვევები ობიექტისათვის იქნება - 2.1037 ტონა წელიწადში;
- საწარმოში გამორიცხულია ტერიტორიის ნიადაგის და წყლების მავნე ნივთიერებებით დაბინძურება. ორგანიზებული იქნება საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანა, ხანძარსაწინააღმდეგო და ავარიული სიტუაციების რეაგირება.
- გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა მახასიათებლები მოცემულია დანართ ცხრილში;

დანართი: 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, დანართი -1. ორ გვერდზე;
2. საკადასტრო გეგმა, დანართი -2. ერთ გვერდზე;
3. ფოტომასალა საწამოს ტერიტორიის კუთხეების კოორდინატებით. დანართი -3. ერთ გვერდზე;
4. საწარმოს სიტუაციური გეგმა გაფრქვევის წყაროების ჩვენებით;
5. საწარმოს დაბინძურების წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა მახასიათებლების შესახებ მონაცემების ცხრილი. დანართი -5. ერთ გვერდზე.

პატივისცემით,

დირექტორი მ. შუბითიძე

დანართი -1.

*[||||||

დანართი -2.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საკადასტრო ბეჭდა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი:	*80 06 66 089*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი:	882011503141
მიწის ნაკვეთის ფართობი:	*1571* კვ.მ.
დანიშნულება:	არასასოფლო-სამეურნეო
კატეგორია:	
მომზადების თარიღი:	18.10.11



ნებისმიერ რეგისტრის ეროვნული სააგენტო: ინდექსი 0102 ქ. თბილისი, ზ. ციფლიშვილის ქუჩა № 2 ტელ.: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
ინფორმაციის მომხმარებლთა მომსახურება: ქ. თბილისი 1000, ზ. ციფლიშვილის ქ. № 106
www.napr.gov.ge

დანართი -3. ფოტომასალა საწამოს ტერიტორიის კუთხეების კოორდინატებით.

1. X-460505.
Y-4588620.

2. X-460550
Y-4588610.

4. X-460500.
Y-4588590.

3. X-460545
Y-4588575.

საწარმოს გეგმა გაფრქვევის წყაროებით მ 1:500

ბოლნისი, ს.ს ორბელიანის ქ. №171


460500
460525
460550
460575
4588625
4588600
4588575
№1
№2
№3
№4
№5
ბ-1
ბ-2
ბ-3
ბ-4
528.98
280.000
ბილბორდის ადგილი
ბილბორდის ადგილი
ბილბორდის ადგილი

დანართი-5.

საწარმოს დაბინძურების წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში ძირითადად გამოიყოფა ნახშირწყალბადები, როგორც ნაჯერი და უჯერი, ასევე არომატული, მათ შორის: ბენზოლი, ქსილოლი, ტოლუოლი და ეთილბენზოლი საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ ნივთიერებათა მახასიათებლების შესახებ მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში.

№	მავნე ნივთიერებების დასახელება	კოდი	მასური წილი, %	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ), მგ/მ³		საშიშროების კლასი
				მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო სადღეღამისო	
1	ნაჯერი ნახშირწყალბადები, C_1- C_5	0415	67,67	-	-	4
2	ნაჯერი ნახშირწყალბადები, C_6- C_{10}	0416	25,01	-	-	4
3	ამილენები, C_5H_{10}	0501	2,5	1.500	-	4
4	ბენზოლი, C_6H_6	0602	2,3	1.500	0.050	2
5	ქსილოლი, C_8H_{10}	0616	0,29	0.200	-	3
6	ტოლუოლი, C_7H_8	0621	2,17	0.600	-	3
7	ეთილბენზოლი, C_8H_{10}	0627	0,06	0.020	-	3
8	გოგირდწყალბადი, H_2S	0333	0,28	0.008	-	2
9	ნაჯერი ნახშირწყალბადები, C_{12}-C_{19}	2754	99,72	1.000	-	4

დირექტორი მ. შუბითიძე

შ.პ.ს. "ემ ოილი"

საქართველო

იურ.მის: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №42.ბ№32

ს/კ 234242940. ტელ: 596 444444; 595 456 778.

ელ. ფოსტა: giorgigabadze86@gmail.com

დირექტორი: შურმან შუბითიძე.

№19/04-11 11 აპრილი 2019 წ

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

დამატებითი ინფორმაცია სკრინინგის განცხადებაზე

ქ. ბოლნისში სულხან-საბა ორბელიანის ქ. №171-ში შ.პ.ს. „ემ ოილი"-ს (საიდ/კოდი 234242940) მშენებარე ავტოგასამართი სადგურის შესახებ ჩვენი ა/წ 8 აპრილის №19/04-05 სკრინინგ განცხადებაზე დამატებით გაცნობებთ:

მშენებარე აგს-ის ტერიტორია (ნაკვ. კოდი 800666089) 1571.0 m^2 ფართისაა. მათ შორის მყარი საფარით დაფარულია საწვავის გასაცემი ბაქანის 40.0 კვადრატული მეტრი და ავტოტრანსპორტის შესასვლელ-გასასვლელი გზა, ადმინისტრაცია 45.0 m^2 ფართის. ტერიტორიაზე ს პერ. გადახურული ბაქნის ფართის ირგვლივ მოწყობილი პატარა არხი უერთდება ნავთობდამჭერ ჭას. შემდეგ კი გადავა ქალაქის ქუჩის სანიაღვრე არხში. ნავთობდამჭერ ჭაში ნავთობის ნარჩენი მოხვდება მხოლოდ გასამართ ბაქანზე ავტომანქანის გამართვის ავარიული შემთხვევის დროს. ამ დროს ჭიდან ამოღებული ნავთობის ნარჩენი უტილიზირებული იქნება დადგენილი ნორმატიული მოთხოვნების შესაბამისად.

საწარმოს დანარჩენი ტერიტორია მყარი საფარის გარეშეა. ნიაღვრული წყლები შთაინთქმება ნიადაგში. ნაწილი შეიძლება მოხვდეს ქალაქის გზის გასწვრივ არხში.

პატივისცემით,

დირექტორი ---------- შ. შუბითიძე

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 5440
12 " 04 2019
02